899.962.1(09)
– 1801 –
– 1801 –

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1

899.962.1(09)
თ-677

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

თოდუა მირანდა

ბიბლიური მოტივები და პარადიგმები X საუკუნის ქართულ ჰიმნოგრაფიაში

10.01.01 – ქართული ლიტერატურა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2001

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი – მენაბდე ლევან
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ოფიციალური ოპონენტები: 1. კიკნაძე ზურაბ
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

2. ჯღამაია ციალა
ფილოლოგიის მეცნიერებათა
კანდიდატი, დოცენტი

დისერტაციის დაცვა შედგება 2001 წლის „21“ დეკემბერს 16 საათზე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დარგის (P10.01.C.№5) სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე
მისამართი: 380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში
მისამართი: 380047, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2.
ავტორეფერატი დაიგზავნა 2001 წლის „13“ „ივლისს“

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი /ნ. ტაბიძე/

- 1881 -

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. ქართული ჰიმნოგრაფიის შესწავლას საფუძველი XX საუკუნეში ჩაეყარა. კ. კეკელიძის, ივ. ჯავახიშვილის, პ. ინგოროყვას, ელ. მეტრეველის, ვ. გვახარიას, ლ. ხაჩიძისა და სხვათა გამოკვლევების შედეგად მკითხველისთვის ხელმისაწვდომი გახდა ქართული სასულიერო პოეზიის არაერთი საყურადღებო და საინტერესო ნიმუში. X საუკუნის ჰიმნოგრაფიის ცალკეული საკითხები განხილულია პ. ინგოროყვას, გ. იმედაშვილის, ლ. კვირიკაშვილის, ნ. მარის, ნ. სულავას, ლ. ჯღამაიას ნაშრომებში. ჰიმნოგრაფიის შესწავლის დღევანდელ დონეს განაპირობებს შემდეგ მკვლევართა მონოგრაფიები თუ ცალკეული გამოკვლევები: ა. ბაქრაძე, ქ. ბეზარაშვილი, ა. გაწერელია, ვ. გვახარია, ლ. გრიგოლაშვილი, გ. იმედაშვილი, პ. ინგოროყვა, პ. კარბელაშვილი, კ. კეკელიძე, ლ. კვირიკაშვილი, გ. კიკნაძე, ზ. კიკნაძე, გ. ლეონიძე, ნ. მარი, ე. მეტრეველი, გ. მიქაძე, ტ. მოსია, ნ. ნაკუდაშვილი, ნ. სულავა, მ. უჯმაჯურიძე, მ. ქავთარია, ზ. ჭავჭავაძე, რ. ხალვაში, ლ. ხაჩიძე, ლ. ხევსურიანი, ი. ჯავახიშვილი, მ. ჯანაშვილი, ლ. ჯღამაია... მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, „მეათე საუკუნის საუნჯეში“ რიგი საკითხებისა მონოგრაფიულად დღემდე არ არის შესწავლილი.

კვლევის საგანი და მიზანი. სასულიერო პოეზია, ისე, როგორც შუა საუკუნეების ხელოვნება, ბიბლიური მოტივებით, სიუჟეტებით საზრდოობს. ბიბლია, დასაბამიდანვე, ქართული მწერლობის საფუძველია, რაც ჩვენამდე მოღწეული პირველივე ლიტერატურული ძეგლით „წმინდა შუშანიკის წამებით“ დასტურდება. X საუკუნის ჰიმნოგრაფიაში, რომელიც ზოგადქრისტიანულ პრობლემატიკას ასახავს, სიმბოლურ სახეთა თუ მოტივთა უმეტესობა ბიბლიურ წიგნებს ეფუძნება. „ჰიმნი განადიდებს თვით პირველ სახეს (ქრისტეს) ან მასთან მიახლოებულ წმინდანს. მეორე მხრივ, წარმოაჩენს ცოდვით დაცემული ადამიანის სახეს. სასულიერო პოეზიის მიზანია დაუახლოოს ადამიანი უფალს“ (ლ. გრიგოლაშვილი).

სადისერტაციო ნაშრომი მიზნად ისახავს წარმოაჩინოს ჰიმნოგრაფთა მიერ შექმნილი მეტად საგულისხმო ხატები, თუ როგორ გაიაზრეს და დაგვიხატეს მათ ბიბლიურ პერსონაჟთა ესა თუ ის სახე, მოგვცეს მოტივთა თავისებური გაგება.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე და ძირითადი შედეგები. სადისერტაციო ნაშრომში ჰიმნებისა და პირველწყაროდან პარალელების მოხმობით შესწავლილი და შეჯერებულია ბიბლიური სახე-სიმბოლოები, პარადიგმები და მოტივები. გაანალიზებული და წარმოჩენილია თუ როგორ ახერხებს ჰიმნოგრაფი პოეტური

Библиотека Тбилисского гос. университета имени Ивана Джавахишвили